დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2012 წლის 6 აპრილს)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. პროფესიული განათლების საფეხურზე სწავლის ოპტიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. ბაკალავრიატში სწავლის ოპტიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება 4, მაგისტრატურაში 2, დოქტორანტურაში 3, ერთსაფეხურიანი განათლების საფეხურზე 5 ან 6 და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 სასწავლო წლით.

2. თუ 4 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ სტუდენტი სრულად შეასრულებს საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებს მასზე გაიცემა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დიპლომი, 2 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ სამაგისტრო პროგრამის სრულად შესრულების შემთხვევაში – მაგისტრის აკადემიური ხარისხის დიპლომი. თუ 5 ან 6 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი სრულად შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის დიპლომი. 3 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, თუ სტუდენტი სრულად შეასრულებს სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დიპლომი. 2 ან 3 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სრულად შესრულების შემთხვევაში სტუდენტზე გაიცემა დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი. თუ სტუდენტი სრულად შეასრულებს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

3. თუ სტუდენტი ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ ვერ შეასრულებს შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებს, მას შეუძლია დარჩენილი კრედიტების ათვისება მომდევნო 4 სემესტრში (პროფესიული პროგრამებისთვის 2 სემესტრში) სწავლის სემესტრული საფასურის წინასწარ გადახდის პირობით. ყოველი ასეთი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა მოხდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის იმ დროს არსებული წლიური გადასახადის მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ ერთ სასწავლო წელში სტუდენტს არა აქვს 75 კრედიტზე მეტის ათვისების უფლება.

4. თუ სტუდენტი დამატებით სემესტრებშიც ვერ შეასრულებს შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებს, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა მოსმენის მოწმობა.

5. სტუდენტს უფლება აქვს სწავლის ნებისმიერ დროს შეწყვიტოს უნივერსიტეტში სწავლა და პირადი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს მოსმენის მოწმობის გაცემა.

6. სტუდენტს საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის დაცვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების სრულად შესრულების შემდეგ.

7. სტუდენტს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით დარეგისტრირდეს და შეისწავლოს ის სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მის სასწავლო პროგრამაში.

გასათვალისწინებელია, რომ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
8. სტუდენტს ეძლევა დიპლომი წარჩინებით იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებში მიღებული ექნება აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასებებიდან (A) კატეგორიის შეფასება პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის მინიმუმ 90%-ში. დასაშვებია სტუდენტს ჰქონდეს მიღებული მე-4 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასებებიდან (B) კატეგორიის შეფასება პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის მაქსიმუმ 10%-ში. აუცილებელია სტუდენტს მიღებული ჰქონდეს (A) კატეგორიის შეფასება საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში და პრაქტიკაში. დაუშვებელია დიპლომის წარჩინებით გაცემა სტუდენტზე, რომელსაც რომელიმე სასწავლო კურსში/ პრაქტიკაში/ საბაკალვრო ან სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მიღებული ჰქონდეს მე-4 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული უარყოფითი შეფასებებიდან რომელიმე და შემდგომ იგი ჰქონდეს გადაბარებული ან ხელახლა შესწავლილი.

მუხლი 2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა

1. სტუდენტის საქმიანობა (სასწავლო დატვირთვა) მოიცავს:
ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;
დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას;
ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას.
2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში.
3. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
4. ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის მოდული ან სასწავლო კურსი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.
5. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.
6. რეკომენდებულია თანაბრად განაწილდეს სტუდენტის აკადემიური დატვირთვა სემესტრების მიხედვით და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა სემესტრში შეადგენდეს 30 კრედიტს.

7. სტუდენტი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს საკუთარი სასწავლო პროგრამის შედგენაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულებიდან კონკრეტული სასწავლო კურსების შერჩევის გზით.
8. სტუდენტს უფლება აქვს დარეგისტრირდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსზე, რომლის წინაპირობაც უკვე შესრულებული აქვს.

მუხლი 3. კრედიტების განაწილება

1. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი.
2. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, გარდა ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტისა, უცხოური ენის კომპონენტი დაძლეულად ჩაეთვლება მხოლოდ ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ამ დებულების მე-4 მუხლის 30-ე პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სერთიფიკატის წარდგენის შემდეგ.
3. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.
4. კრედიტების განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.
5. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

მუხლი 4. სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

4. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრის მეშვეობით, რომელიც მუშაობს შესაბამისი დებულების მიხედვით.
5. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
ა) შუალედურ შეფასებებს;
ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:
1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);
2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);
3) მაქსიმუმ 10 ქულა.
6. შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.
7. შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი - შუალედური გამოცდა აუცილებელია შესრულდეს წერილობითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით.
8. შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერილობითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერილობითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.
9. შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) იწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად ფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანს.
10. შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერილობითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.
11. პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში დგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების წარდგენის ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:
1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;
2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;
3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

12. შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები ცხადდება მათი ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანს.
13. სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა სკოლის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. სკოლაში იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგნის ლექტორი, სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი მომართულების რამდენიმე წარმომადგენელი. კომისია არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.
14. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ იგი თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობებს შესაბამისი სკოლის დეკანს.
15. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე ფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანს.
16. სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა სკოლის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. სკოლაში იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგნის ლექტორი, სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი მომართულების რამდენიმე წარმომადგენელი. კომისია განიხილავს სტუდენტის ნაწერს და გამოკითხავს სტუდენტს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.
17. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში, უნდა იყოს გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.
18. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
19. ჯანდაცვის მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ჩატარდეს მოდულარული გამოცდა ზემოთ მოყვანილი წესების დაცვით იმ განსხვავებით, რომ მოდულში სტუდენტის მიერ მიღებული შუალედური შეფასებების ქულა გამოითვლება ერთ სემესტრში მოდულში გაერთიანებულ სასწავლო კურსებში სტუდენტის მიერ მიღებული შუალედური შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, ხოლო ინტეგრირებულ მოდულარულ დასკვნით გამოცდაში თითოეული სასწავლო კურსიდან საკითხების ხვედრითი წილი განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების ხვედრითი წილით ამ მოდულში.
20. ყოველ სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ითვლება წარმატებით შესრულებულად, თუ სტუდენტი სრულად აითვისებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სემესტრის კრედიტების რაოდენობას.
21. პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დაუშვებელია სტუდენტის მიერ პრაქტიკაში მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება.

22. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შუალედური შეფასებები განისაზღვრება ორი შუალედური გამოცდით (თითოეული მაქსიმუმ 20 ქულა) და ერთი პრეზენტაციით (მაქსიმუმ 20 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა განისაზღვრება მაქსიმუმ 40 ქულით. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები, გარდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა, განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით 60/40 თანაფარდობით.

23. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. კრედიტის მიღება შესაძლებელია მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების სისტემის გამოყენებით.

24. თუ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება 41-დან 50 ქულის ჩათვლით, დაცვის ხელმეორედ დანიშვნა შესაძლებელია მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, პირველი დაცვიდან სულ მცირე ერთი თვის შემდეგ. სტუდენტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ საგამოცდო კომისიას უნდა წარედგინოს პირველი დაცვის შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

25. თუ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება 41-ზე ნაკლები ქულით, მისი განმეორებითი დაცვა არ მოხდება. სტუდენტს უფლება ეძლევა დაწეროს ახალი ნაშრომი იმავე ან სხვა თემაზე, იგივე ან სხვა ხელმძღვანელთან. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი გადასახადი შესაბამისი კრედიტების ასათვისებლად და აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება ერთი წლის განმავლობაში.

26. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მიღებული ქულა სკოლის დეკანატში ან/და სკოლის ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. გასაჩივრება უნდა მოხდეს დაცვის დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების ყოველი შემთხვევა განიხილება სკოლის საბჭოზე, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა. სკოლის საბჭოსა და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაცვის ხელმეორედ დანიშვნა.

27. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) (91% და მეტი) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) (81-90%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) (71-80%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) (61-70%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) (51-60%) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) (41-50%) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) (40% და ნაკლები) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

28. ამ მუხლის 27-ე პუნქტის “ა”–“ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის

განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო "ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

29. სტუდენტის ცოდნის შეფასება განსხვავებული საგნის სახით ჩასაბარებელ სასწავლო კურსში განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა, მათ შორის:
    1) ერთი წერილობითი შუალედური გამოცდა (მაქსიმუმ 30 ქულა);
    2) ერთი წერილობითი და/ან ზეპირი საშინაო დავალება (მაქსიმუმ 30 ქულა);
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

30. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოური ენის კომპონენტის დაძლევა ხდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი;

ბ) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერთიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	**ტოიფელი (TOEFL IBT)**	**ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)**	**ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)**
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

გ) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისურისა, უნივერსიტეტს უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერთიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	**ტოიფელი (TOEFL IBT)**	**ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)**	**ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)**
ქულათა ოდენობა:	ქულათა ოდენობა:	ქულათა ოდენობა:	ცოდნის დონე:

არანაკლებ 437 ქულა	არანაკლებ 41 ქულა	არანაკლებ 4,0 ქულა	არანაკლებ PET

დ) ამ დებულების მე-4 მუხლის 30-ე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერთიფიკატების შესატყვის დონეზე უცხოური ენის ცოდნის დადასტურების მიზნით სტუდენტი უფლებამოსილია ჩააბაროს:

- სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის სასერთიფიკაციო გამოცდა;
- შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინგლისური ენის სასერთიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილება უდასტურდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

31. ამ დებულების მე-4 მუხლის 30-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

მუხლი 5. სტუდენტის აკადემიური დავალიანება

1. სტუდენტი აკადემიურ დავალიანებას ფარავს საკუთარი ხარჯით, რომლის ღირებულება განისაზღვრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული ფინანსური გათვლების საფუძველზე და რეგულირდება შესაბამისი ბრძანებით.

2. თუ საგამოცდო სესიის შედეგების მიხედვით სტუდენტის მიერ რომელიმე სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსში მიღებული ჯამური ქულა 51 ქულაზე ნაკლებია, მას არ ენიჭება კრედიტი ამ სასწავლო კურსში და ეძლევა საშუალება ზამთრის ან ზაფხულის არდადეგების პერიოდში აღმოფხვრას დავალიანება ამ სასწავლო კურსში, იმავე სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

3. თუ საგამოცდო სესიის შედეგების მიხედვით თავისუფალი კრედიტების კომპონენტში შემავალ რომელიმე არჩევით სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ჯამური ქულა 51 ქულაზე ნაკლებია, მას არ ენიჭება კრედიტი ამ სასწავლო კურსში და შემდგომ რომელიმე სემესტრში ანაზღაურებს ამ დავალიანებას იგივე ან ნებისმიერი სხვა სასწავლო კურსის არჩევით.

4. თუ სტუდენტის მიერ პრაქტიკაში მიღებული ჯამური ქულა 51 ქულაზე ნაკლებია, მას არ ენიჭება კრედიტი პრაქტიკაში და ანაზღაურებს ამ დავალიანებას პრაქტიკის განმეორებითი გავლით.

5. დავალიანებაში დარჩენილ სასწავლო კურსს სტუდენტი ამზადებს დამოუკიდებლად. მას ენიშნება კონსულტაციები და შუალედური შეფასებებისათვის ეძლევა ერთი შუალედური გამოცდა (მაქსიმუმ 30 ქულა) და ერთი წერილობითი და/ან ზეპირი საშინაო დავალება (მაქსიმუმ 30 ქულა). შუალედური გამოცდა ინიშნება დამატებითი საგამოცდო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდა (მაქსიმუმ 40 ქულა) ინიშნება შუალედური გამოცდის დასრულებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში.

6. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დავალიანებული სასწავლო კურსებით/პრაქტიკით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობა იმავე სასწავლო წლის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობასთან ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

7. დავალიანებაში მყოფი სტუდენტის რეგისტრაცია შესაბამის კომპონენტში სავალდებულოა და ხდება შესაბამისი სკოლის დეკანატში, უნივერსიტეტის რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

8. დავალიანებაში მყოფი სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ მისი დარეგისტრირების და შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის შესაბამის სკოლაში წარდგენის შემთხვევაში.

9. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების უზრუნველყოფაზე და მისი მსვლელობის კონტროლზე პასუხისმგებელია ერთიანი საგამოცდო ცენტრი.

10. შესაბამისი სკოლის დეკანი ქმნის ნეიტრალურ საგამოცდო კომისიას ორი წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედის ერთი მაინც შესაბამისი მიმართულების სპეციალისტი. კომისიის წევრები იღებენ დამატებით ანაზღაურებას უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოებული გათვლების მიხედვით.

11. სტუდენტის მიერ შესრულებულ და წარმოდგენილ საშინაო დავალებას, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს აფასებს შესაბამისი საგამოცდო კომისია.

12. თუ სტუდენტს გადაბარების შედეგად ისევ დარჩება აკადემიური დავალიანება, მაშინ მას კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება, კვლავ საკუთარი ხარჯით. თუ სტუდენტი კვლავ ვერ მიიღებს დადებით შეფასებას, მას უფლება ექნება სრულად გაიმეოროს სასწავლო კურსი/პრაქტიკა მხოლოდ სწავლის დამატებით სემესტრებში.

13. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტები, რომლებიც შუალედური შეფასებების ქულების მიხედვით იმსახურებენ კრედიტის მინიჭებას ან უფლება აქვთ გავიდნენ დასკვნით გამოცდაზე არ იქნებიან შეყვანილი მიმდინარე სემესტრის საგნების შეფასების უწყისებში დავალიანების სრულ დაფარვამდე. აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების მიერ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ მათი შუალედური შეფასებები შესაძლებელია გადატანილ იქნას საგნების შეფასების უწყისებში და მათ ეძლევათ უფლება გავიდნენ დასკვნით და დამატებით გამოცდებზე სამიზნე ჯგუფის განრიგის მიხედვით.

14. თუ სტუდენტი ფინანსურ დავალიანებას დაფარავს დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შემდგომ პერიოდში, მას უფლება ეძლევა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე ერთხელ, შესაბამისი სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დღეს, რომელიც დანიშნული იქნება იმავე სემესტრის პერიოდში.

15. თუ სტუდენტს რომელიმე სასწავლო კურსის შუალედურ შეფასებებში დაგროვილი ექნება სულ მცირე 51 ქულა, მას შეენახება მიღებული ქულები ერთი სემესტრის განმავლობაში. ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში ქულები გადატანილ იქნება სასწავლო კურსის შეფასების უწყისში და სტუდენტს ენიჭება კრედიტი აღნიშნულ სასწავლო კურსში, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში მიღებული ქულები ცნობილ იქნება ბათილად.

16. თუ სტუდენტი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის პერიოდში ვერ აითვისებს გეგმით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას, მას მიეცემა უფლება დარჩენილი აკადემიური დავალიანება აღმოფხვრას შემდეგნაირად:

- თუ სასწავლო კურსებში დარჩენილი კრედიტების რაოდენობა არ აღემატება 10 კრედიტს, მას მიეცემა საშუალება აღნიშნული აკადემიური დავალიანება აღმოფხვრას საკუთარი ხარჯით;
- თუ სასწავლო კურსებში დარჩენილი კრედიტების რაოდენობა 10 კრედიტზე მეტია და 45 კრედიტზე ნაკლები და დარჩენილი სასწავლო კურსები პროგრამით გათვალისწინებულია ერთ სემესტრში, მაშინ მას მიეცემა უფლება აღმოფხვრას

აღნიშნული აკადემიური დავალიანება ერთი სემესტრის განმავლობაში, სემესტრული გადასახადის წინასწარი გადახდის პირობით;

- თუ სასწავლო კურსებში დარჩენილი კრედიტების რაოდენობა 10 კრედიტზე მეტია და დარჩენილი სასწავლო კურსები პროგრამით გათვალისწინებულია ლუწ და კენტ სემესტრებში, მაშინ მას მიეცემა უფლება აღმოფხვრას აღნიშნული აკადემიური დავალიანება ერთი წლის განმავლობაში, წლიური გადასახადის წინასწარი გადახდის პირობით.

გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს 75 კრედიტს.

17. თუ სტუდენტი ვერ მიიღებს დადებით შეფასებას საბაკალავრო/სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომში, ამოქმედდება ამ სავალდებულო კომპონენტისადმი შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის რექტორი **თინათინ ჯავახიშვილი**